უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი N8

ქ.თბილისი

05.09.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
რუსუდან თავხელიძე - დირექტორის მოადგილე;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის სასწავლო მასალების კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი:
1. თეონა ხუფენია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, რუსუდან თავხელიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა მამია ჯანჯალია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:18 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი

ი. ხანთაძე

შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შაუმდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენის გზით ითხოვდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. აღნიშნული პროგრამები იყო: ზოოტექნიკოსის (მეცხოველე) მესამე საფეხურის, ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურისა და ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მომზადდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, ადამიანური რესურსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ტრადიციული სილაბუსებისგან განსხვავებული კურსები დახვდათ ექსპერტებს.

ნანი დალაქიშვილმა კიდევ ერთხელ მოახსენა საბჭოს წევრებს ის პროფესიული პროგრამები, რომელთა დამატებაც სურდა დაწესებულებას:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ფერმერი	მეოთხე	ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	94
2.	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი	მეოთხე	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და თევზების და სხვა) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	76
3.	ზოოტექნიკოსი (მეცხოველე)	მესამე	ზოოტექნიკოსის (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეგოცვრეობა,	76

			მეფრინველეობა და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგები სტანდარტის ადეკვატური იყო და უკეთესად იკითხებოდა შეფასების ინსტრუმენტები. მან განაცხადა, რომ მოდულებში წარმოდგენილი ჩანაწერები უფრო ინფორმაციული იყო და მეტად იძლეოდა საშუალებას, დადგენილიყო სტანდარტებთან შესაბამისობა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის მემორანდუმებით, მოინახულეს სააქციო საზოგადოება უნიფარმის ობიექტი, სტუდენტთა გარკვეული ჯგუფი ექსპერტებს პრაქტიკის ობიექტზე დახვდათ და გასაუბრების საფუძველზე დარწმუნდნენ, რომ აღნიშნული პრაქტიკა რეალურ შედეგს იძლეოდა.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქ. ზუგდიდში, მაგრამ აღნიშნული პროგრამები ხორციელდებოდა სენაკის ბაზაზე, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ეწყობოდა სსსმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო. ექსპერტებმა შეამოწმეს ბიბლიოთეკა, ლიტერატურა, ადამიანური რესურსი. მასწავლებლების პირადი საქმეები და კვალიფიკაციები შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობებს. ხელშეკრულებები და დოკუმენტაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იყო გატარებული და გაფორმებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა ხუფენიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯფუფს ნაყოფიერი მუშაობისთვის. მან აღნიშნა, რომ სასწავლებელი საპილოტე რეჟიმში იყო, გარე მონიტორინგის დასკვნებიც დადებითი მიიღეს და მზად იყვნენ, განეხორციელებინათ სახელმწიფო პროგრამების პილოტირებაც. მან მაგალითისთვის დაასახელა ფერმერის პროგრამა, სადაც 12-კაციანი ჯგუფი მუშაობდა და მზადყოფნას გამოთქვამდა დაწესებულება ჩართულიყო სახელმწიფოს საპილოტე ჯგუფებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა ღონისძიებები გაატარა სასწავლებელმა რესურსების მომზადების კუთხით. თეონა ხუფენიამ განაცხადა, რომ გადამზადდნენ პროფესიული კადრები და პერსონალმა ერთობლივად შეიმუშავა გზამკვლევები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით და დაინტერესდა, თუ რა გამოცდილება მიიღეს პროგრამების პილოტირების საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროცესი შემოქმედებითი იყო, საინტერესო ლექციები თავისი პრაქტიკული მეცადინეობის მაგალითებით. მან აღნიშნა, რომ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ღამისთევით მუშაობდნენ და სურვილი გაუჩნდათ სახელმღვანელო გაეკეთებინათ. თეონა ხუფენიამ განაცხადა, რომ ეს იყო ცოცხალი პროცესი, როცა სტუდენტი მინიმუმ სამჯერ გადიოდა მისთვის დავალებულ საკითხს და მუშაობის პროცესში ზედამხედველის როლიც კარგად გამოჩნდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა კუთხით შეიძლებოდა გაუმჯობესებაზე მუშაობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამები აკმაყოფილებდნენ სტანდარტებს და ერთადერთი მიმართულება, სადაც გაუმჯობესება შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს იყო ზედამხედველის ინსტიტუტი, რაზეც მიმდინარეობდა კიდეც სამინისტროსთან კონსულტაცია. თეონა ხუფენიამ დაამატა, რომ კიდევ უფრო დასახვეწი იყო ფერმერის პროგრამა და ის 12 ადამიანი, ვინც ჩართული იყო ამ ჯგუფში მომზადებული, შესაბამისი გამოცდილების მქონე და მცოდნე კადრები იყვნენ.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, ჩატარდა თუ არა დაწესებულებაში კმაყოფილების კვლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუდმივად მიმდინარეობდა კმაყოფილების კვლევა, რაც გარე მონიტორინგის ჯგუფის შეფასებითაც დასტურდებოდა. მან